ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი №01-07/08

დაბა ქედა, 12 ივლისი, 2021 წელი

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 11:25 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა შუქრი თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან დევაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
სილოვან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
როსტომ შერვაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
გოჩა გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
არჩილ გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ვაჟა ბოლქვაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
ტარიელ მანველიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა ბერიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-07/08 ბიუროს სხდომა

12 ივლისი 2021 წელი

№	სახელი გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	შუქრი თურმანიძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
4	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
5	გოჩა გორგილაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	სილოვან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	არჩილ გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
9	ვაჟა ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
10	როსტომ შერვაშიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	ტარიელ მანველიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 12 ივლისის №01-07/08 ბიუროს სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
2. **ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ძირითად (განუსხვისებელ) ქონებაზე სტატუსის შეცვლის შესახებ;**
3. **ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ფართის - ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
4. **ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2021 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
5. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 ივლისის №01-06/08 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტის განსაზღვრა.**

ბიუროს სხდომის დღის-წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

შემდეგ ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 12 ივლისის №01-07/08 ბიუროს სხდომის დღის-წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

1.მოისმინეს: საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე საკითხი (შემოსული დოკუმენტი №45/04, 28.05.2021 წელი) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და აქვე აღნიშნა, რომ საკითხზე ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობდა 31 მაისიდან (სხდომა №01-06/05, 31.05.2021 წელი; განკარგულება №13, 31.05.2021 წელი), გარკვეული სამართლებრივი პროცედურების გავლის შემდეგ საკითხი (საჯარიმო ოქმი) გადაგზავნილ იქნა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მიზნით, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მკაცრი აღრიცხვის ფორმების განმხილველი კომისიის 2021 წლის 7 ივლისის #25 საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე, სააგენტომ რეგისტრაციაში გაატარა მკაცრი აღრიცხვის ფორმა - საჯარიმო

ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (რეგისტრაციის #25-5786 (მესამე კატეგორია, მარტივი ტიპის) შემოსული დოკუმენტი №68/04, 09.07 2021 წელი).

აღნიშნულ საკითხზე სამანადტო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ მომზადებულია დასკვნა, რომლის მიხედვით მიზანშეწონილია საკითხი საკრებულოს სხდომაზე განხილული იქნას დასკვნასთან ერთად წარმოდგენილი შენიშვნების გათვალსიწინებით (შიდა დოკუმენტი №89-04; 08.07.2021 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/08 მორიგი სხდომის დღის-წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სულიკო სურმანიძე, ხოლო თანამომხსენებლად საკრებულოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე.

2.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ძირითად (განუსხვისებელ) ქონებაზე სტატუსის შეცვლის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ძირითად (განუსხვისებელ) ქონებაზე სტატუსის შეცვლის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის წინადადება (შემოსული დოკუმენტი №64/04, 07.07.2021 წელი), საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აზრი გამოთქვეს:

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ძირითად (განუსხვისებელ) ქონებაზე სტატუსის შეცვლა საკრებულოს კომპეტენციაა, შესაბამისად საკრებულომ უნდა იმსჯელოს ამ საკითხზე, რისთვისაც მიზანშეწონილია მომზადდეს განკარგულების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ დააყენა წინადადება ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის წევრის მიერ ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ძირითად (განუსხვისებელ) ქონებაზე სტატუსის შეცვლის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ინიცირების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს .

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1.საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/08 მორიგი სხდომის დღის-წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე, ხოლო თანამომხსენებლად მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე.

3.ეთხოვოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისის თავმჯდომარეს უზრუნველყოს შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება.

3.მოისმინეს: ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ფართის - ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ფართის - ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შემოსული დოკუმენტი №67/04, 09.07.2021 წელი) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/08 მორიგი სხდომის დღის-წესრიგში;

2. საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სულიკო ჩხიკვაძე, ხოლო თანამომხსენებელად საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე.

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2021 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2021

წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შემოსული დოკუმენტი №66/04, 09.07.2021 წელი) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/08 მორიგი სხდომის დღის-წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე, ხოლო თანამომხსენებელად საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე.

ბიუროს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ დამსწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 ივლისის №01-06/08 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი და საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:

1. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის,საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი: სულიკო სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ძირითად (განუსხვისებელ) ქონებაზე სტატუსის შეცვლის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე
თანამომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

3. ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ფართის - ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: სულიკო ჩხიკვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის
თავმჯდომარე: სილოვან ბერიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2021 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურისუფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: რეზო თურმანიძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 ივლისის №01-06/08 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის წარმოდგენილი პროექტი;
2. ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ამ გადაწყვეტილების შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა (საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება);
3. დამტკიცებული დღის-წესრიგის პროექტი გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.keda.gov.ge.

სხდომის თავმჯდომარე **შუქრი თურმანიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწაროებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში **ნონა ბერიძე**